საქართველო

29485-01-2-201907261445

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/29485
26/07/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ **თეა ახვლედიანს**

ქალბატონო თეა,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად გაცნობებთ, რომ საელჩოს წარმომდგენელმა შეხვედრა გამართა გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროში. შეხვედრას გერმანიის შსს-ს მხრიდან ესწრებოდნენ: ელენა ლანგე-ბრატანოვა (რეადმისიის განყოფილება), ანა-მარი ბურბაუმი (ბინადრობის უფლების შეწყვეტისა და აღსრულების განყოფილება) უვე ვუსტერჰაუსენი (ბინადრობის უფლებისა და ჰუმანიტარული სტატუსის განყოფილება) სავიზო პოლიტიკის განყოფილების წარმომადგენელი.

შეხვედრაზე სხვა მნიშნველოვან საკითხებთან ერთად განხილვის თემას წარმოადგენდა გერმანიის ბუნდესტაგისა და ფედერალური საბჭოს მიერ მიღებული მიგრაციის ახალი საკანონმდებლო პაკეტი, მათ შორის მესამე ქვეყნებიდან კვალიფიციური სამუშაო ძალის იმიგრაციის შესახებ კანონმდებლობა.

საელჩოს წარმომადგენელი, დაინტერესდა ე.წ. მიგრაციის ახალ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებული დეტალებით; კერძოდ, კი გერმანულ მხარეს ეთხოვა მესამე ქვეყნებიდან კვალიფიციური მუშახელის იმიგრაციის შესახებ ახალი კანონის თანახმად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და პირობების თაობაზე დეტალური ინფორმაციის გაზიარება.

გაგაცნობთ შეხვედრაზე გერმანული მხარის მიერ გაჟღერებულ მნიშვნელოვან გზავნილებს ახალ კანონმდებლობაში მესამე ქვეყნებიდან შრომითი მიგრაციის შესახებ:

- შსს-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ კანონის მიღების მიზანია ეკონომიკის სექტორის საჭიროებებისა და გერმანიის შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტის გათვალისწინებით, მესამე ქვეყნებიდან კვალიფიციური მუშახელისთვის გამარტივებული პირობების შექმნა გერმანიაში დასასაქმებელად.
- მთავარი წინაპირობა მესამე ქვეყნებიდან მოქალაქეების გერმანიაში დასაქმებისთვის იქნება მათი პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება გერმანიაში. კვალიფიკაციის აღიარების შემთხვევაში მათ შეუძლიათ იმუშაონ ნებისმიერი პროფესიით. აქამდე არსებული შეზღუდვა გარკვეულ პროფესიებზე ახალი კანონმდებლობით გაუქმებულია.
- ამასთან, ახალი კანონის თანახმად, სამუშაო კონტრაქტისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეებს დასაქმების თანაბარი შანსი ექნებათ გერმანიის/ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებთან მიმართებაში.

- კანონის კიდევ ერთი სიახლეა, რომ კვალიფიციურ მუშახელს მესამე ქვეყნებიდან, ეძლევა უფლება სამუშაო ადგილის ძიების მიზნით ჩამოვიდეს გერმანიაში მაქსიმუმ 6 თვით. გერმანიის ტერიტორიაზე სამუშაოს ძიებისთვის ჩამოსასვლელად მთავარი წინაპირობაა, კვალიფიკაციის აღიარება, ენის შესაბამისი ცოდნა (როგორც წესი მინიმუმ B1 დონეზე) და საკმარისი ფინანსური სახსრები გერმანიაში ცხოვრების უზრუნველსაყოფად. სამუშაოს საძიებლად ჩამოსული კვალიფიციური მუშახელი არ მიიღებს გერმანიის მთავრობისგან არც სოციალურ დახმარებაა და არც დაფინანსებას საცხოვრებლისთვის. სამუშაოს საძიებლად გერმანიაში გამომგზავრებისთვის დაინტერესებულმა მოქალაქეებმა უნდა მიმართონ გერმანიის საკონსულოს, შეიტანონ განაცხადი შესაბამისი კატეგორიის (სამუშაოს მაძიებლის) ვიზაზე და წარადგინონ საჭირო დოკუმენტაცია. შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოცდილების თანახმად, შესაძლოა საკონსულო სამსახურმა დამატებით მოითხოვოს იმის დადასტურება, რომ მაგალითად, მოქალაქეს გაგზავნილი აქვს განაცხადი რამდენიმე გერმანულ კომპანიაში ვაკანსიაზე. **<u>აღსანიშნავია, რომ უვიზო მიმოსვლის ფარგლებში</u> საქართველოს მოქალაქეებს არ აქვთ სამუშაოს საძიებლად გერმანიაში ჩასვლის უფლება.** ეს უფლება ვრცელდება მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეებზე - მაგალითად აშშ, კანადა.
- სამუშაოს მაძიებლებს ამ პერიოდში 6 თვის მანძილზე ეკრძალებათ მუშაობა. დაშვებულია მხოლოდ საცდელი პერიოდით მუშაობა არაუმეტეს კვირაში 10 საათისა. თუკი ამ ხნის განმავლობაში მათ იპოვეს სამუშაო, საქართველოში ჩაუსვლელად, ადგილზე შეიტანენ განაცხადს ბინადრობის მოწმობის მისაღებად და განაცხადის დამუშავების პერიოდში აქვთ უფლება დარჩნენ გერმანიის ტერიტორიაზე.
- ახალი კანონის თანახმად, უმჯობესდება ასევე საკვალიფიკაციო ღონისძიებები, კერძოდ, არასაკმარისი კვალიფიკაციის დადგენის შემთხვევაში (მაგალითად პრაქტიკული გამოცდილების არარსებობა), დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ აიმაღლონ კვალიფიკაცია გერმანიაში. ამ შემთხვევაში კანონმდებლობა იძლევა შესაბამის პროფესიაში პარალელურად დასაქმების შესაძლებლობასაც.
- ახალი კანონმდებლობა ითვალისწინებს არა მხოლოდ ინდივიდუალურად კვალიფიკაციის აღიარების პროცედურებს, არამედ შესაძლებელი იქნება ასევე <u>გერმანიის დასაქმების ფედერალურ სააგენტოსა და წარმოშობის ქვეყნის დასაქმების სამსახურს შორის შეთანხმების საფუძველზე ერთიანად მოხდეს კონკრეტულ პროფესიებზე საზღვარგარეთ გაცემული პროფესიული განათლების დამდასტურებელი დოკუმენტების აღიარება.</u> გერმანული მხარე მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუწყობს უცხოელი მუშახელის გერმანულ სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოებას და კვალიფიკაციის სტანდარტების სრულყოფას წარმოშობის ქვეყნებში. ამ ეტაპზე უკვე განისაზღვრა, რომ სანიტარული სექტორში (care sector) დასაქმებისთვის ინდივიდუალურად კვალიფიკაციის აღიარების ნაცვლად მოხდება ამ სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ერთიანად აღიარება. დასაქმების სააგენტოსთან მოლაპარაკების შედეგად, ეს შეიძლება გავრცელდეს სხვა პროფესიებზეც, თუკი წარმოშობის ქვეყანაში გერმანიის ანალოგიური პროფესიული განათლების სისტემა არსებობს.
- კვალიფიკაციის აღიარების პროცედურა შეუძლია განახორციელოს ასევე ადგილზე (გერმანიაში) დამსაქმებელმა, რის შემდეგაც ინფორმაცია მიეწოდება გერმანიის საკონსულოს, რომელიც გასცემს შესაბამის ვიზას.
- ერთადერთი სფერო, რომელიც ახალი კანონმდებლობით არ საჭიროებს კვალიფიკაციის აღიარებას, ეს არის IT სექტორი. ამ დარგის სპეციალისტები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისა და აღიარების გარეშე შეძლებენ გერმანიაში დასაქმებას. მათ მოეთხოვებათ მინიმუმ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება და იმ მომენტისთვის არსებული გარკვეული შემოსავლის ჩვენება.
- კანონის კიდევ ერთი სიახლეა, რომ მარტივი ხდება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები გერმანიაში. გერმანიაში პროფესიული განათლების მიღების მსურველის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, მას უნდა ქონდეს საშუალო სკოლის დიპლომი და ფლობდეს გერმანულ ენას (მინიმუმ B2 დონეზე). პროფესიული განათლების მიღების

მსურველებმა განაცხადი უნდა შეიტანონ გერმანიის საკონსულოში შესაბამისი კატეგორიის ვიზის მისაღებად.

- კანონის თანახმად, ფედერალურ მიწებს ეძლევათ რეკომენდაცია ერთი ცენტრალიზებული მიგრაციის სამსახური ჩამოაყალიბონ, იმისთვის, რომ კვალიფიკაციის აღიარების პროცედურები დაკლებად ბიუროკრატიული და უფრო მოქნილი გახდეს.
- ახალი კანონმდებლობის თანახმად, 45 წელს გადაცილებული პირების დასაქმებისთვის გერმანიაში ჩამოსასვლელად იარსებებს განსხვავებული პირობები: კერძოდ, მათ უნდა ქონდეთ უფრო მაღალი შემოსავალი ან საკმარისი რაოდენობის პენსია. როგორც გერმანულმა მხარემ განმარტა, ამით მთავრობა ცდილობს აღკვეთოს გერმანიის სოციალური სისტემით სარგებლობის შესაძლებლობები.
- ახალი კანონმდებლობა ძალაში შევა სავარაუდოდ, 2020 წლის თებერვლის თვეში (კანონის გამოქვეყნებიდან მე-7 თვის პირველ დღეს). ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით ეფექტიანი კომუნიკაციის განხორციელებაზე მუშაობს გერმანიის ეკონომიკის სამინისტრო. შექმნილია პორტალი Make it in Germany https://www.make-it-in-germany.com/en/, რომელზეც განთავსებულია საჭირო ინფორმაცია და რომლის აქტუალიზაცია პერიოდულად მოხდება (მათ შორის, კანონის ძალაში შესვლის შემდეგ). კანონის ამოქმედების შემდეგ, ინფორმაციის ძირითადი გამტარი იქნებიან საკონსულო სამსახურები, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ მოქალაქეებს. ამ ფუნქციას შეასრულებს ასევე ადგილზე ცენტრალური უწყებაც - ფედერალური დასაქმების სააგენტო.

აქვე გაცნობებთ, რომ მ.წ. 8 აგვისტოს ჩანიშნულია საელჩოს წარმომადგენლის შეხვედრა დასაქმების სააგენტოში, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება დამატებით ინფორმაციის მოპოვება პროფესიების აღიარების მიზნით არსებული შესაძლებლობების, კრიტერიუმების, პროცედურის და მოლაპარაკების დაწყების შესაძლო ვადებთან დაკავშირებით.

შეხვედრისას შსს-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გერმანიის მიგრაციის უწყების წარმომადგენლის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 130 გამოკითხული ქართველი თავშესაფრის მაძიებლიდან მხოლოდ 3 % არის კვალიფიციური სამუშაო ძალა. 54% პროცენტი არის დაბალი კვალიფიკაციის მუშა ხელი, ხოლო დანარჩენი უმუშევარია. შესაბამისად მან ხაზი გაუსვა, რომ იმ ადამიანების კატეგორია, რომელიც გერმანიაში საქართველოდან მოემგზავრება თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით, სავარაუდოდ ვერ შეძლებს ისარგებლოს დასაქმების შესახებ ახალი კანონმდებლობით შემოთავაზებული შესაძლებლობებით და მისი ვარაუდით ამ კანონის ამოქმედება ვერ აისახება პოზიტიურად თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკაზე საქართველოდან.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე